შ.პ.ს. "ემკუბი"



ქ. თბილისი, ლუბლიანის ქუჩა 2/6, ს.კ 01.13.02.009.027
დემონტაჟის პროექტი

მრავალფუნქციური კომპლექსი. სავაჭრო და კვების ობიექტი

მშენებლობის ორგანიზაციის ნაწილი

დირექტორი შ. სუხიაშვილი

შეასრულა ბ. გოგოლაური

ქ. თბილისი 2020წ

შინაარსი

ა/ განმარტებითი ბარათი;

ბ/ კალენდარული გეგმა;

გ/ გრაფიკული ნაწილი:

-ნახაზი მო-1 ----“სამშენებლო გენგეგმა”;
-ნახაზი მო-2 ----“სამონტაჟო სქემა”

სადემონტაჟო სამუშაოები
განმარტებითი ბარათი

1 სამშენებლო ტერიტორიაზე /ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ.№2/6, ს.კ 01.13.02.009.027/ განლაგებულია ერთსართულიანი რთული მოხაზულობის **არადამთავრებული** სადემონტაჟო შენობა /მრავალფუნქციური სავაჭრო კომპლექსი/.

კონსტრუქციული თვალსაზრისით შენობა შესდგება:

--საძირკველი----------ბურღსატენი მონოლითური რკინაბეტონის ხიმინჯები, ძ=80სმ;
--კარკასი----------მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო და ლითონის კონსტრუქციებით;
--გადახურვა----------მონოლითური რკინაბეტონის ფილა;
--კედლები----------მცირე ზომის საკედლე ბლოკები;
--ვიტრაჟები----------ალუმინისაგან;
--გარე კედლები-----ალუმინის კომპოზიტური პანელები.

გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე გრუნტი შესდგება:

--ნაყარი გრუნტი;
--თიხა ყავისფერი, ხვინჯის და ხრეშის ჩანართებით;
--კენჭნაროვანი გრუნტი ქვიშნარის შემავსებლით;
--ძირითადი ქანები გამოფიტული;
--ძირითადი ქანები ნაკლებად გამოფიტული.

წინამდებარე პროექტში განხილულია შენობის სადემონტაჟო სამუშაოების პირობები და მეთოდები.

2 ვინაიდან მშენებლობის ხანგრძლივობა არ განისაზღვრება СниП 1.04.03-85 თანახმად, ხანგრძლივობა პირობითად მიღებულია **-3.0 თვე** სადემონტაჟო სამუშაოების მოცულობიდან გამომდინარე.

მოსამზადებელ პერიოდში უნდა მოხდეს:

--უცხო ხალხის გაყვანა სადემონტაჟო უბნიდან;
--ტერიტორიის შემოღობვა;
--გარე და შიგა ქსელების გამორთვა /არსებობის შემთხვევაში/;
--"დროებითი ნაგებობები"-ს განლაგება ტერიტორიაზე ჯგუფურად, უსაფრთხო ადგილზე;
--სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი წყლით და ენერგიით არსებული ქსელებიდან;
--ხანძრისგან დაცვის სისტემის მონტაჟი და შეერთება არსებულ წყალსადენის ქსელთან;
--აქტის შედგენა მოსამზადებელი პერიოდის სამუშაობის შესახებ.

3 სამშენებლო ორგანიზაცია ამუშავებს სამუშაოთა წარმოების პროექტს. ამ პროექტის შედგენა უნდა ხდებოდეს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება უნდა მოხდეს ზემოდან ქვევით სათანადო კომისიის დასწრებით.

სამუშოების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული:

--მუშების სათანადო ინსტრუქტაჟი და უზრუნველყოფა სპეციალური ტანსაცმლით /სათვალეებით, ჩაფხუთებით, დამცავი ქამრებით და ასე შემდეგ/ და აგრეთვე ლითონის გადასატანი კიბეებით;

--დემონტირებული კონსტრუქციების დროებითი ადგილი;

--აქტის შედგენა ძირითადი პერიოდის სამუშაოების შესახებ.

ავარიული სიტუაციის შემთხვევაში უნდა მოხდეს სამუშაოების **შეჩერება.** ყველა საშიში ადგილი უნდა იყოს შემოღობილი სათანადო განათებით ღამის საათებში. სამშენებლო ნაგავი დროულად უნდა იქნას გატანილი.

მონოლითური რკინაბეტონის კარკასის და მონოლითური რკინაბეტონის გადახურვის შემთხვევაში უნდა იყოს გამოყენებული **გრძელისრიანი ექსკავატორი "კოდალა"-ს** დანადგარით. სამშენებლო ნაგვის შეგროვება და დათვირთვა /უსაფრთხოების თვალსაზრისით/ აგრეთვე უნდა მოხდე გრძელისრიანი ექსკავატორით.

სამუშაოების განხორციელება მოხდეს ეტაპების მიხედვით:

--პირველი ეტაპი----------მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება / იხილე. პ. 2/;

--მეორე ეტაპი----------ალუმინის კომპოზიტური პანელების მოხსნა ფასადიდან, ალუმინის ვიტრაჟების ამოღება, ბეტონის იატაკის აყრა /სამუშაოების განხორციელება ხელით/;

--მესამე ეტაპი----------ნაწილობრივად მოწყობილი ლითონის კონსტრუქციების დემონტაჟი /სამუშაოების განხორციელება ხელით/;

--მეოთხე ეტაპი----------მცირე ზომის ბლოკებით აშენებული კედლების დაშლა /სამუშაოების განხორციელება ხელით/;

--მეხუთე ეტაპი----------მონოლითური რკინაბეტონის კარკასის და გადახურვის დემონტაჟი /"კოდალა"ს საშუალებით/;

--მეექვსე ეტაპი----------გრუნტის დამუშავება ხელით, საძირკვლის ფილის და რანდკოჭების დემონტაჟი /"კოდალა"ს საშუალებით/.

4. ყველა სამუშაოს განხორციელება მოხდეს საქართველოს მთავრობის 2007წ 28 მარტის №62 დადგენილების – **"მშენებლობის უსაფრთხოების წესები"-ს** მოთხოვნათა გათვალისწინებით.

მანქანა-მექანიზმების უწყისი

N	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	ერთ გან.	რ-ბა
1	გრძელისრიანი ექსკავატორი “HITACHI” “კოდალა”ს დანადგარით	ც	1
2	გრძელისრიანი ექსკავატორი “HITACHI” პირდაპირი ჩამჩით	ც	1
3	ნიჩაბი	ც	4
4	ბულდოზერი /ნაგვის ნარჩენების შეგროვება/	ც	1
5	სპეცტრანსპორტი	ც	4
6	შემდუღებელი აპარატი /დაშლა ნაწილების/	ც	4
7	გადასატანი ლიტონის კიბეები	ც	4

HITACHI –ის საბაზო ნაწილის ტექნიკური მაჩვენებლები

1 სიმაღლე----------3.50მ
2 მოსაბრუნებელი ნაწილი----------3.50მ
3 სავალი ნაწილის სიგანე----------3.02მ
4 ისრის მაქსიმალური სიგრძე----------21.00მ

ყურადღება!!! ექსკავატორის და დამატებითი მოწყობილობის მარკა შეიძლება შეცვლილი იქნას სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად ანალოგიურ მარკაზე.

კალენდარული გეგმა T=3.0 თვე

N	სამუშაოს დასახელება	თვე	1 თვე						2 თვე						3 თვე					
			5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	30
	პირველი ეტაპი--მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები																			
1	მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება /იხილე განმარტებითი ბარათი/	10																		
	სადემონტაჟო სამუშაოები																			
	მეორე ეტაპი	10																		
2	ალუმინის კომპოზიტური პანელების მოხსნა ფასადიდან, ალუმინის ვიტრაჟების ამოღება, ბეტონის იატაკის აყრა																			
	მესამე ეტაპი	10																		
3	ნაწილობრივად მოწყობილი ლითონის კონსტრუქციების დემონტაჟი																			
	მეოთხე ეტაპი	10																		
4	მცირე ზომის ბლოკებით აშენებული კედლების დაშლა																			
	მეხუთე ეტაპი	30																		
5	მონოლითური რკინაბეტონის კარკასის და გადახურვის დემონტაჟი																			
	მეექვსე ეტაპი	20																		
6	გრუნტის დამუშავება ხელით, საძირკვლის ფილის და რანდკოჭების დემონტაჟი-ამოღება																			
	საერთო სამუშაოები																			
1	სამშენებლო ნაგვის გატანა	-																		
2	სხვადასხვა სამუშაოები	-																		



შენიშვნა: მექანიზმის მარკა შეიძლება შეცვლილი იქნას ანალოგიურ მარკაზე სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად

შ.პ.ს. "ემკუბი" ტ: 574 00 68 68			შ.პ.ს. "ემკუბი"	
ქ. თბილისი, ქ. ლუბლიანა 2/6, ს/კ 01.13.02.009.027 დემონტაჟის პროექტი მრავალფუნქციური კომპლექსი. სავაჭრო და კვების ობიექტი				
დირექტორი	შ. სუხიაშვილი		საკონტაქტო	სქემა
შესრულა	ბ. გოგოლაური		სტადია	
			ფურცელი	მ(ო)-2
თარიღი 06.02.2020 წ.			მასშტაბი	1:300



ექსპლიკაცია

1 სადემონტაჟო არადამთავრებული შენობა
2 ბრძელისრიანი ექსკავატორი /"კოდალა"/
3 დემონტირებული ნაწილების ადგილი
4 დროებითი საჭარაული
5 სამუშაოთა მწარმოებლის "ოთახი"
6 დროებითი კვების "ოთახი"
7 დროებითი საბარდეროგო
8 დროებითი დახურული საწყობი
9 დროებითი წარდული
10 დროებითი ბიოტუალეტი
11 დროებითი ღობე
12 დროებითი გასაბორავებელი ბისკარი–2 ცალი

პირობითი აღნიშვნები

-სადემონტაჟო შენობა
-დროებითი "ნაგებობები"
-დროებითი ღობე
-არსებული სანიაღვრე
-არსებული ელ. ქსელები

შ.პ.ს. "ემკუბი" ტ: 574 00 68 68			შ.პ.ს. "ემკუბი"	
ქ. თბილისი, ქ. ლუბლიანა 2/6, ს/კ 01.13.02.009.027 დემონტაჟის პროექტი მრავალფუნქციური კომპლექსი. სავაჭრო და კვების ობიექტი				
დირექტორი	შ. ხუხიაშვილი		სამშენებლო გენგეგმა	
შესრულა	ბ. ბოგოლაშვილი		სტადია	
			შკრცემლი	მო-1
თარიღი 06.02.2020 წ.			მასშტაბი	1:700